საქართველოს პარლამენტი

2025 წლის ნოემბრის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
დეკემბერი

2025 წლის ნოემბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

6.0%

ოქტომბერი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ათი თვის საშუალო მაჩვენებელი **7.6%**

2025 წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **4.8%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.3%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - ოქტომბერში* საქონლის ექსპორტი **6.8%**-ით, ხოლო იმპორტი **9.3%**-ით გაიზარდა.

ოქტომბერში* ფულადმა გზავნილებმა **318.7** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები **- 44.9%;**
აშშ **- 18.6%;**
რუსეთი**- 13.0%;**

ოქტომბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.3%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **1.1%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





2025 წლის ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის ოქტომბერში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.0%, ხოლო იანვარ-ოქტომბრის საშუალო მაჩვენებელმა 7.6% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის ოქტომბერში* 15,556.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7.0%-ით აღემატება.

2025 წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

ნოემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე - ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოპოლურ სასმელებზე და თამბაქოზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.3%-ით განისაზღვრა.

2025 წლის ოქტომბერში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 4.7% შეადგინა.









<u>2025 წლის ოქტომბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 14.2%-ით, ხოლო ხარჯები 5.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 262.8 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო -35.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ოქტომბერში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,130.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.0%-ით აჭარბებს. ამავე პერიოდში გაიზარდა იმპორტის გადასახადი (48.0%-ით), აქციზი (29.3%-ით), მოგების გადასახადი (29.1%-ით), საშემოსავლო გადასახადი (17.7%-ით), ქონების გადასახადი (16.2%-ით) და დღგ (7.7%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 47.0%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 53.0% შეადგინა.

ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 43.4%-იანი კლება (246.2 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.

<u>2025 წლის ოქტომბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

ოქტომბერში*, წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 12.5%-ით მოიმატა და 65,553.8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 14.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 9.3%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 41.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.0% ფიზიკურ პირებზეა, 15.0% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.1% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.9% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

<u>საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.8% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.9% - ვაჭრობის, 16.6% - მრეწველობის, 15.0% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.0% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.</u>





2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2025 წლის იანვარ-ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.</u>

2025 წლის იანვარ-ოქტომბერში* ექსპორტმა 6.8%-ით, ხოლო იმპორტმა 9.3%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 8.6%-ით გაიზარდა და 20,831.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.0%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ტაჯიკეთში (380%), აგრეთვე - ბულგარეთში (108%), უზბეკეთში (56%), ყირგიზეთში (18%), რუსეთში (5%) ყაზახეთში (4%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (35%), სომხეთში (13%), ჩინეთი (4%), აზერბაიჯანში (4%) და სხვა.

იანვარ-ოქტომბერში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა: თხილი და სხვა კაკალი (56%), ძვირფასი ლითონების მადნები (47%), უალკოჰოლო სასმელები (23%), მსუბუქი ავტომობილები (14%), სამკურნალო საშუალებები (7%), აზოტოვანი სასუქები (3%), მინერალური და მტკნარი წყლის (1%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (44%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (8%) და სპირტიანი სასმელების (5%) საზღვარგარეთ გატანა.



2025 წლის იანვარ-ოქტომბერში*ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 71.8% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 20.4% - საზღვაო, 4.1% - საჰაერო, 3.3% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.4% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.8% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 38.9% - საზღვაო, 10.0% - საჰაერო, 5.1% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.2% შეადგინა.



იანვარ-ოქტომბერში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2,641.5 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.6%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), თურქეთი (9%), ჩინეთი (9%), ბულგარეთი (7%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (6%), შვეიცარია (3%), ყაზახეთი (3%), იტალია (3%), უკრაინა





<u>2025 წლის ოქტომბერში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.</u>

ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 13.4%-ით გაიზარდა და 318.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (143.3 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და აშშ (59.3 მლნ აშშ დოლარი, 18.6%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 20.2%-ით გაიზარდა და 41.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 13.0%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (53.2 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.7%), აგრეთვე - გერმანიიდან (29.6 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (25.8 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (24.1 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (10.7 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (7.9 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (7.7 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



<u>2025 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,816 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

ნოემბერში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,816 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 41.0%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 3.8%-ით გაიზარდა.

2025 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 13.7%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 10.3%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 17.3%-ით გაიზარდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 17.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 14.0%-ს გაუტოლდა. 2025 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2025 წლის ნოემბერში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 11,159.0 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 72.1% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 11.4% - ეროვნული ბანკის, ხოლო 16.6% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 14.8%, არარეზიდენტი - 1.8%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(ნოემბერი)



2025 წლის ოქტომბერში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 67,254.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.8%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.5% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა კი 49.5%.

ოქტომბრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.2% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.8% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.1% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 34.9% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
ოქტომბერი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 54.2% ვადიანი დეპოზიტებია, 23.9% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 21.9% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.6%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (33.4%) და მიმდინარე ანგარიშებს (25.1%).



<u>2025 წლის ოქტომბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

ოქტომბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.69 პპ-ით შემცირდა და 46.7%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.25 პპ-ით შემცირდა და 41.9% შეადგინა.

ოქტომბრის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.7%-ით შემცირდა.



2025 წლის ოქტომბერში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 14,110.1 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22.1%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.0%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.0%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 44,774.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.7%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.9%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.1%.



ოქტომბრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 64.1% გაცემულია თბილისში, 7.6% - იმერეთში, 7.3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.8% -კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის ოქტომბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.03 პპ-ით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.40 პპ-ით შემცირდა.

ოქტომბერში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.6% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), ოქტომბრის* მდგომარეობით, 6.6% შეადგინა, 0.44 პპ-ით მეტი წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.





2025 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლართან, ისე ევროს მიმართ გამყარდა.

ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.3%-ით, ევროს მიმართ 1.1%-ით და თურქულ ლირასთან 1.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ნოემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.0%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 7.0%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 24.0%-ით გამყარდა.

ნოემბრის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.71, ევროს მიმართ 3.13, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის II* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2025 წლის II* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,212.0 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.3%-ით (207.1 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 1.9%-ით (41.9 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის II* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,176.5 ლარის ოდენობით, 5.4% წლიური ზრდა), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,732.2 ლარის ოდენობით, ზრდა 2.5%), მშენებლობის (3,467.7 ლარი, ზრდა 17.7%),აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (2,995.3 ლარი, ზრდა 4.3%).





2025 წლის ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე შემცირდა.

ოქტომბერში*, განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 235.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 5.0%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 190.6 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.3%-ით ნაკლები.

5. რეგიონული მიმოხილვა

2025 წლის ნოემბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 31.1%, ხოლო სომხეთში 3.1% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.9%-ით, ხოლო რუსეთში 7.7%-ით გაიზარდა.





2025 წლის ნოემბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის გარდა გამყარდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნოემბერში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 18.6%-ით გაუფასურდა, რუსული რუბლი 25.5%-ით, სომხური დრამი კი 1.7%-ით, ქართული ლარი 1.1%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.002%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ნოე 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოე 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.5	6.7	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	10.1	10.1	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	
ინფლაცია (%)	1.3	1.9	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.50	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.74	2.81	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	266,696	285,395	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	543	549	404	432	562	617	580	640	610	603	703	684	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	543	549	404	432	562	617	580	640	610	603	703	684	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	1,476	1,699	1,704	1,233	1,519	1,524	1,484	1,507	1,600	1,483	1,481	1,460	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,124	4,449	4,436	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603	5,816
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,003	2,598	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2117.9	2499.4	2296.7	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,721	2,648	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1724.8	1845.3	2033.9	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	456	1,147	392	380	406	397	332	454	371	400.2	578.5	320.8	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი